მოლაპარაკების დროს ხვანეთსაც შეეხო კითხვა. სპარსელი არას გზით არ დასთანხმდა დაეთმო ეს ქვეყანა ბიზანტიელებისათვის. პეტრე პატრიცი ამტკცებდა: სვანები იმერეთის მეფეების ქვეშევრდომნი იყვნენ და ზავის პირობებით ჩვენ გვეკუთვნიაო. სპარსეთი კი ამბობდა: suani suis legibus sunt usi; neque unquam cochorum imprio paruerunt ე. ი. სვანები თვის კანონებს ხმარობენ და იმერლების ბრძანებას არასდროს არ ემორჩილებოდ-

ნობტა და ნიკოს უთხრა, მომეცი ბიჭო ~~საქმე~~ მაშინ მევიცი და ჩემმა მტრებმაო. მარტოც ~~წინა~~ გიძღვა წინა, შემოგვატარა გორაკსა და გიყვარდეს მაშინ, რა დღე დავაყენეთ სომხებს! ერთი კაციც ცაცხალი არ გაუშვით!

**მელანია.** (გათამამებული) ვენაცვალე, ვანოს მკლავს!  
**სოფიო.** მართლაც ვაჟკაცი ყოფილა! როდესაც კი ვანო აქ იმალებოდა, ჩვენ ყველას გვეგონა რომ მშიშარააო.

**სოლომონა.** ცოტა გაწყდა მეც დეზერტირათ არ გავხდი! ზოგიერთა ბიჭები მამრიყვებდნენ, მაგრამ მე არავის არ ავეყე, ენაა, ქალო, ენა! ენას შეუძლიან, კლდებზე გადაგჩეხეს!

**მელანი.** მართალია, ამას წინეთ ერთი კაცი ჩამოსულიყო ქალაქიდან, ბობშევიკი ვარო, ეთქვა და თურმე ის ყველას ამრიყვებდა. რა გინდათ ჯარშიო, ეუბნებოდა. თავად აზნაურობას უნდა ემსახუროთ!

ლხინი დაიწყება, გამოსჩნდება ვანო ჯარისკაცის ტანისამოსში, გულზედ ჯვარით ხალხი მიეგებება სიცილით და ქებით. მელანია მოუახლოვდება და ხელს მოხვევს.

**ვ. ნო.** გაუმარჯოს, გოგუებსა და ბიჭებს!  
ხალხი, გაუმარჯოს, გამარჯვებულ ვანოს!

**სოფიო** აბა ერთი, ვანო, შენებურად დაუარე!  
ხალხი დაუარე, ვანო, დაუარე!

**მაროც** ჩაერევა ხალხში და ტაშს უკრავს, ვანო თამაშობს და გამოითხოვს მაროს).

**მელანია.** (სოფიოს) აბა შეხედე, გოგო, როგორ უხდებთ ორივეს თამაშობა!

**სოფიო.** მართალია! მაროც გულიანათ უფლის, ეტყობა ვანოსთან თამაშობა ათამაშებს!

**მელანია.** შენიჭირიმე, **სოფიო!** როგორ გგონია, **მარო** ახლა ხომ აღარ დაიწყებებს ვანოს?

ენო. დაბოლოს პეტრემ დაასკვნა თვით მეფე ხოსროს მოლაპარაკებოდა ამის შესახებ. მან წაჩუღვანა უკანასკნელს საბუთებო, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ სვანები ძველთაგანვე იმერეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ. ხოსროს მაინც არ ირწმუნა არაფერი და არ დასთანხმდა პეტრეს. დაბოლოს ბიზანტიის ელჩმა აჩვენა ხოსროს საბუთი, რომელშიაც თეოდორის დროიდან ლეონამდე, ჩამოთვლილი იყო, როგორც იმერეთის მეფეები ისე მათ მიერ სვანეთში დაყენებულ მთავრებისა (ვიცხაც არ სჯერა რომ ქართველებს უქველესი დროიდანვე ჰქონდათ მწერლობა, ვურჩევთ ყურადღება მიაქციონ ამ ფაქტს). საქმეს არც ამით ეშველა რამ და სვანეთის საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მიმხდარ უკანასკნელს სამკედრო სასიციოცხლო ბრძოლაშიც, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ა. ხვანიძე.



საფიო. რა ვიცი, გენაცვა, ღმერთმა ქნას მაგათი გაბედნიერება! მეც ძაან მინდა რომ მარო ვანოს ცოლი გახდეს.

ერთერთი ლხინში მდგომი გოგო. (გოგუებს) აბა შეხედეთ, შაროს და ვანოს! თითქმის შეყვარებულნი არიანო.

მეორე გოგო ვანოს უთხოვინია ქალო, მარო!

პირველი გოგო კარგი ნეფე და პაჩარძალი იქნებიან.

მეორე გოგო. ვახო კარგი ბიჭია! შეძლებულიც არის და ნაქებიცაა ხალხში! (ვანო მელანიასთან მივა).

მელანია. შენი ჭირიმე ბიჭო, მითხარი, რას გეუბნევა მარო?

ვანო. თანახმაა, ამობს, წამოგყვებიო, რახან შენ გმირობა გამოიჩინეო.

მელანია (გახარებული) თქვენ გენაცვალეთ, თქვენა! მეც ძაან მიყვარს მარო. ბედნიერი იქნები ბიჭო! ახლა კი მე წავალ სახლში და ჩვენებს გაეხარებ, (მიდის) (ხალხიც იშლება რჩება მარტო სცენაზედ ვანო და მარო).

ვანო. ესე ჩემო ძვირფასო, ახლა შენ სრული ბედნიერი ვარ, ჩემ სურვილს მივახსენე!

მარო. ხომ, გეუბნებოდი, რომ მე მიყვარს თავგანწირულნი სამშობლოსთვის, შენ შეასრულე ის, რასაც მოვალე იყავი და ამიტოა ღირსი ხარ ჩემი მჭრეო ბისა.

ვანო. მეც ხომ გეუბნებოდი, გოგო, რომ შენი გულისთვის თავს ვაფწირამ მეთქი! ახლა სრულიად ავისრულე შენი თხოვნა!

მარო. მაშასადამე ჩვენ ერთიერთმანეთის სურვილი სვინდისიანათ ავასრულეთ და ამიტომ ნებაც გვაქვს ერთი ერთმანეთის სიყვარულისა. (მიდინან),

ფარდა.

ვ. იაქუშვილი.

### შანი ხალხით მოვალეობი მიწის დაქრას \*).

ღრუბლიანი შაისის დილა იყო... წინა წამის წვიმისაგან დასველებულ დედამიწის სინესტე გამოვლო და ციოდა...

— ყველანი სახლში შეკუმშულიყვნენ. სალომე ტანჯულაძის ქვრივს დერეფანში მატყლი გამოეტანა სჭრდა და თავისთვის რაღაც მოსთქვამდა. ამ დროს ეზოს კარები გაიღო, საიდანაც გამოჩნდა ადგილობრივ მღვდელი. მის დანახვაზედ სალომე მაშინათვე ფხზე წამოდგა, თავშალი გაისწორა და ლოდინი დაუწყაო სტუმარს.

— სალამო მშვიდობისა სალომე, — შესძახა მისვლისთანავე მოძღვარმა.

— მშვიდობა და სიკეთე ნუ მოგიშალის ზეციერმა უფალმა, კრძალვით უბასუბა მასპინძელმა და ხელზედ ეამბორა. სტუმარმა ცოტა სიჩუმის შეიღებ მ მართა.

— სალომე, იცი რისთვის მოვედი.

— რა მოგხსენოთ, არა...

\*) იხ. რესპ. ჯარი. № 15.

— ჰუმ... მაშ ყური დამიგდე, დამელონო... გეტყვი დაიჯერებ რადგან ყველაფერი უფლის ნათქვამია...

— ბრძანეთ მამაო, ვენაცვალე უფლის მადლს, უფლის სიტყვას ყოველთვის დასაჯერებელია, მიუგო სალომე და თან სმენათ გარდაიქცა.

— მაშ მომისმინე, — დაიწყო მღვდელმა, — ხომ იცი რა ხატრი და პატივისცემა მქონდა ცხონებული კირილესი და შენიც, იმიტომ რომ ყოველთვის არც ჭირი და რაც ლხინი თქვენთვის გასაკვირველი არ იყო რადგან ყველა უფლის ნებაა, ვენაცვალე იმის ძლიერებას, — თან პირჯვრი გადისაა, რაც სალომემაც გაიმეორა.

— შო... და... — დაიწყო ნაწყვეტ ნაწყვეტად მოძღვარმა, — რაც უნდა უბედურება შემთხვევს ადამიანს ღმერთს არ უნდა აწყენიოს... და მშვიდათ უნდა შეხედეს...

— რა თქმა უნდა შენი ჭირიმე, ყველაფერი უფლის ნებაა, — მიუგო გულუბრყოთ სალომემ... ოღონდაც, ოღონდაც რომ ღვთის ნებაა დაადასტურა მოძღვარმა და ჯიბიდან ქალაღი ამოიღო, აი ჩემო დამ და შვილო, ეს ქალაღი მოვიდა სადაც იწერებიან რომ... შენი შვილი ილიკო დაქრილა და...

— როგორ... ჩემი ილიკო... შეპლრიალა უბედურმა დედამ და გულ წასულმა იქვე ჩაიჩოქა. ამ ხნის გაგონებაზედ მეზობლებთან ერთად თალიკოც მოვარდა და რა გაი ეს საქმის ვითარება ყველამ საშინელი ტრილი მორთეს, მხოლოდ თალიკო უჩუმრად იდგა და ერთ წერტილს მისჩერებოდა...

\*\*\*

ის დღე იყო და ის, ტანჯულაძის ოჯახს მწუხარების ზეწარი ჩამოეფარა, და ყოველ დღე უძლურა უდროვოთ დბერებული სალომე იწარედ მოსთქვამდა სწყველიდა თავს გაჩენს დღეს... ამ მწუხარებაში ღვეს თავის უკნასკნელ სიცოცხლის წუთებს, მაგრამ განკებამ ეს მწუხარება არ აკარა უბედურ დედას.

სატრფოს დაკარგვით არც თალიკო იყო კარგ მდგომარეობაში, იგი მეტის დარდით სრულიად ჩამოხმა დ დაჭარბა სიკვლეუტე... თითქმის ყოველ დღე დაიარებოდა სალომესთან და ორთავინი ერთად მალდა ხმთ გლოვობდნენ ძე რფს ადამიანს.

— შვილო, შენ რაღაზე იკლავ თავს — გეყოდა ხოლომე სალომე როცა ტრილს მორჩებოდნენ, რაღას უწველი ნავ შენი ტირილით. მიუხედავად ამისა თალიკო ამს მერე უფრო მწარედ მორთავდა ტირილს. მაგრამ მოგვხსენებათ ჩვენ წუთიერ ცხოვრებაში ყველაფერი ცვალებადია... და ადამია



ნი ისეთი თვისებისა რომ ყველაფერს მალე ინგლებნ. ასე დაემართა თალოკოსაც და სატრფოს დაკრკვის წლს თ ვზე გასთხ ვდა, მხოლოდ უბედური დადა განაგრძნობდა მწუხრებას.

ვ. საათაშვილი

მოზიხართა მოვალეობა ჯარში

III.

წინა წერილებში (იხ. „რესპ. ჯ.“ № 11 და 13) ჩვენ მოკლედ განვხილეთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯარში კულტურულ მუშაობას და რა საზოგადო-განვითარების საგნების შესწავლა საჭიროა ჯარის გათვითცნობიერებისათვის. მაგრამ საჭიროა გამოვარკვიოთ, როგორ ან რა საშუალებებით უნდა განხორციელდეს კულტურული საქმიანობა ჯარში. უპირველესად ყოვლისა, ამ შემთხვევაშიაც საჭიროა ოფიცრების შეკავშირებული, კოლექტიური მოქმედება. ამ სიქმის ინციტიკა, ორგანიზაციის მოწყობა უნდა იკისროს უკვე არსებულმა კულტურულ-გამანათლებელმა სექციამ, მოვალეობა ხსენებული სექციისა დიდია, მაგრამ, ეს სექცია რამდენიმე თვეა რაც დაარსდა, და მისი საქმიანობის ნაყოფი ჯერ ისე საგრძნობელი არ არის. მას კი დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ჯარის გათვითცნობიერების საქმეში. საჭიროა თვითველ ჯარის ნაწილში (პოლკში, ბათალიონში) დაარსდეს კულტურული სექციები, ან ცენტრალური სექციის გინყოფილებანი. სამინისტროსთან არსებული სექცია კი ხელმძღვანელობას უწევდეს ჯარის ნაწილებში კულტურულ-გამანათლებელ სექციებს.

რასაკარგველა, ყველა ასეულების ოფიცრებს არ შეეძლებათ ყველა საჭირო საგნების სწავლება, მაგ. ზოგისათვის ადვილია მშობლიური ისტორიის სწავლება, ზოგის კიდევ სამშობლოს ეთნოგრაფიისა და სტრატეგიული ცნობების გადაცემა და სხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა მათ თუ იმ ასეულის ოფიცრმა იმაცადინოს სამხედრო ნაწილის რამდენიმე ასეულებთან იმ საგანში, რომლის სწავლება მას უფრო ეხერხება; მოქმედების ასეთი წესი უფრო გაუადვილებს ჯარში მომუშავე ოფიცრებს კულტურულ მუშაობას საქმეს. ცხადია, საჭირო იქნება სასწავლო ხელსაწყოები, წიგნები და სხვა, რისთვისაც აუცილებელია თანხა, მაგრამ ესეც ადვილი საქმეა—ჯერ ერთი თითო-ორიოლა მანათს თვითრად თავიანთ მცირე ჯამაგირიდან არც თვითონ მეომრები დაიშურებენ სასწავლო ნივთების შესაძენად და გარდა ამისა კულტურულ-გამანათლებელ სექციას სამინისტრომაც უნდა მისცეს თანხა ჯარში-კულტურული საქმის განსახორციელებლად.

ჯარის გათვითცნობიერების მოვლა ეობა აწვეთ ოფიცრებისა და ჩვენ, ვიმედვნებთ, მათი საუკეთესო ნაწილი ერთ წამსაც არ დაივიწყებენ თავის მოვალეობას იმ დიდ საქმიანობაში, რომლის სამსახური მათ წილად ხელდათ.

როცა ჩვენ ოფიცრების მოვალეობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს შეგნებული ნაწილი ჩვენი ოფიცრობისა გამსჭვალული სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით, და არა ისეთები, რომლებიც დღე და ღამ ფუქსავატობაში და ლოთობაში კლავენ დროს. მათგან რაც მალე გაიწმინდება ჯარი, მით უკეთესი იქნება.

გრ. შაქავარიანი.

დემოკრატიული ჯარი და დისციპლინა.

ამ ბოლო ხანებში ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ დემოკრატიულ ჯარზე. სახელმწიფო რომელსაც ჯარი არა ჰყავს შიშს განიცდის, როგორც შინაურ ისე გარეშე მტრისაგან. რომ ეს შიში აცილებულ იქმნას საქროა ჯარი, საჭიროა მით უმეტეს ჩვენთვის. მაგრამ მე, როგორც ჯარის-კაცს, მაკვირვებს ის, თუ რატომ არაფერს არ სწერენ თვით ჯარის შინაურ მოწყობილობაზე, მათ დამოკიდებულობაზე უმფროსთან და დისციპლინაზე. მეც ამის შესახებ მსურს ამანაგ ჯარსკაცებს ჩემი აზრი გავაგებინო და ჩემი გულის ტკივილი გავუწინაწილო. საჭიროა თუ არა დისციპლინა? დიახ, საჭიროა დისციპლინა, მაგრამ დემოკრატიულ ჯარში უნდა იყვეს შეგნებული დისციპლინა და არა ძველი დახვედებული რეჟიმის... ზოგიერთ ამხანაგს და ზოგიერთ ჩვენს უფროსებს ამ ს შესახებ სულ სხვა წარმოდგენა აქვთ. ზოგი ფიქრობს თითქოს დისციპლინა სრულიადაც საჭირო არ იყოს, ზოგი კი მოსურნეა ძველი დისციპლინის, როცა ჯარისკაცი მონაყოლად არა თავისუფალი შეილათავისი სამშობლოსი, რომელიც ვაჭვრების დროს იცავს სამშობლოს. სკდებიან როგორც პირველნი აგუთვე მეორენიც. იქ სადაც რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც ერთი და იგივე მიზანი აქვთ დასხული, ყოვლად შეუძლებელია უუფროსობა უწესრიგობა და გადაწყვეტილების აუსრულებლობა. ეს მით უფრო ითქმის ჯარზე. ჩვენში ამბობენ ხოლმე: თუ ოჯახში უმფროსი არ არის და თუ მას გამგონე არა ჰყავს, დაინგრევაო. დისციპლინა საჭიროა ჩვენთვის. მე არაფერს ვიტყვი ძველ რეჟიმის დისციპლინის მოსურნეთა შესახებ, რადგან მათ ალაპარაკებს მხოლოდ ვიწრო



ეგოიზმი, ვაჟებრობა და პატივ მოყვარეობა ყოველი ჯარის-კაცი მოელოდა უმფროსის ბრძანება შეასრულოს; მაგრამ ხშირად ამ უფლებით ბოროტ-მოქმედობენ ზოგიერთი უფროსნი და ამას უნდა მოექცეს დიდი ყურადღება. გინება და ტყვილა უბრალო დასჯა უნდა მოისპოს სამუდამოდ. რომ შეგნებულ დისციპლინა შეიქმნას ამისათვის საჭიროა ჯარის-კაცთა და აფიცრობას შორის კარგი განწყობილება იყოს დამყარებული. საჭიროა დაახლოება აფიცრისა ჯარის-კაცთან, კეთილი მოპყრობა, უმიზეზოთ არ დასჯა; საჭიროა რაც შეიძლება მეტი განვითარების შეანა ჯარში, გაზეთების მიწოდება, ლექციების გამართვა. კარგი განწყობილების შექმნა. კაცსა და აფიცრ შუა და კარგი მოპყრობა. საჭიროა აგრეთვე ჯარის გაწმენდა ნიკოლოზის მოტრფალებთან.

ჯ.-კაცი ი. კვაჭანტირაძე.

### ოფიცრების ხარისხის შესახებ.

როგორც მოგახსენებთ ოფიცრების ხარისხის დაჯილდოების შესახებ არა ერთხელ დაწერილა პრესაში. სხვა და სხვა ბრალდებებს აყენებენ,—ზოგი უკმაყოფილოა მით რომ ბევრ ოფიცერს აჯილდოებენ ხარისხებით, ზოგი—უსამართლოდ აჯილდოებენ—და სხვა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ერთგვარი უსამართლობა არის ხარისხებით დაჯილდოების საკითხში. ესლა უმეტეს ნაწილად აჯილდოებენ იმ ოფიცრებს, რომელმაც ძველთ დამსახურეს ხარისხები, თუმცა ეს კანონიერია მაგრამ საჭიროა, რომ ომში მამაცობის გამოჩენისათვის ოფიცრებს აჯილდოებდნენ. ბევრია იმისთანა ოფიცრები რომელმაც თავი გამოიჩინა საქართველოს ანარქიის ჩაქრობაში და საქართველოს მტრების საწინააღმდეგო ომებში, პირველ რიგზე ესენი უნდა იყვნენ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ქომაგნი.

იმერელი.

### სამხედრო გეგმის მოკლა ისტორია

ისტორიაში არ იცის როდის აწენდა პირველი ხომალდი და როდის მოვიდა ის ზღვაში. ზღვებზე ხომალდების ცურაობის შესახებ ისტორიის დანამდილებითი ცნობა ეკუთვნის რამდენიმე საუკუნეს ქრისტეს დაბადებამდე: ფარაონ (ეგვიპტეს მეფეებს ფარაონები ეწოდებოდა) ტუტმოზისის ქვრივა გადასწყვიტა ეგვიპტედან არაბეთში ზღვით გასვლა. მისი ბრძანებით ააშენეს რამდენიმე ხომალდი. აქ ის უნდა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტელები შინათაც მოგზაურობდნენ ზღვაში თორემ ფარაონის ქვრივი პირველი ვერ გაბედავდა ზღვაში მოგზაურობას. (არის მოსაზრება რომ ყველაზე პირველათ ჩინელებმა გააკურეს

ზღვაში პატარა ხომალდი (ჯონკი) და შემდგომადით შორეული ქვეყნებიც მოეღეს.) უძველეს დროის ხომალდის სურათი, რომელიც ეგვიპტეში ნაპეს, ეკუთვნის მეთოთხმეტე საუკუნეს ქრისტეს დაბადებამდე. საბერძნეთის უდიდეს პოეტის ჰომეროსის, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე რამოდენიმე ასი წლის წინათ სცხოვრობდა, ნაწარმოებში „ილიადაში“ ვკითხულობთ, რომ კუნძულზე მცხოვრებ ბერძნებს ხომალდების მთელი ფლოტი ჰყავდათ. ზოგიერთი ამთგანი სამხედრო გემი იყო, ბრძოლაში გადიოდა და თითო გემზე 120 მეომარი იმყოფებოდა. ბერძნების იმ დროის ხომალდებს აფრაჰქონდათ, მაგრამ გემის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა იყო მენიზბენი. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნავოსნობამ წინ წაიფა და გაჩნდნ უფრო სწრაფათ მოსიარულე ბრემები, ტრირემები, კვადრირემები და დაბოლოს კვინკვერემები. ქრისტეს დაბადებლან მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში კი ბერძნებს გემებზე იღვა დიდი საბრძოლველი იარაღი, ეგრეთ წოდებული „ტარანი“, რომლითაც მტერს დიდი ზომის ქვეს ესროდნ და მტრის ციხე—სიმაგრეებს ანადგურებდნ.

სამხედრო-საზღვაო ტებს იკა სწრაფათ ვითარდებოდა. უკვე 300 წერში ქრისტეს დაბადებამდე ეგვიპტეს ყავდა სამხედრო გემები, რომლებიც საკმაო საზღვაო ძალას წარმოადგენდნ. ზოგიერთი სამხედრო გემის სიგრძე წნ საუენს უდრიდა. გემის ზედაპირზე აშენებული იყო ტაძარი, კოშკები და კარავები. ისტორიკოსების აზრით ასეთ გემზე ეტეოდა 4000 მეომარი. ამ ტიპის გემებს ეკუთვნის სირაკუზის ტიანის გიერონის ცნობილი გემი, რომელზედაც გაშენებული იყო ბაღები, სახლები აივანით და დაღმული იყო ბრინჯაოს და მარმარილოს ძეგლები. ამ გემის მიხ დვით რომის მეფეებმაც იშენეს მცურავი სასახლეები. რამოდენიმე ასეთი მცურავ სასახლე კეისრებს ჰქონდათ ნემის ტაზზე. ამ მცურავ სასახლეების ნაშთი, რომელიც ნემის ტაზში იპოვეს, ახლაც ინახება რომის (იტალიის დედა ქალაქია) ეროვნულ მუზეუმში.

საინტერესოა გ ნეიხილოთ თუ როგორ მივიდნ გემის ჯავშანით დაცვის მოსაზრებამდე.

ჯერ კიდევ უძველეს დროის ბერძნები—ალბათ ფინიკიელოთ მიბაძვით—და შემდეგ რომაელები სამხედრო ხომალდების გვერდებს ფარავდნ ხარის ტყავებით—ამას უმთავრესათ იმიტომ შევბოდნ, რომ დავფარათ გემი მტრის მიერ გამოსროლილ ცეცხლ მოკადებულ ისრებისგან და კიდევ იმიტომ, რომ მეომარისათვის აცდინათ ისარი. ფოლადის ჯავშანის პირველი გამოგონი იყო არქიმედ სირაკუზელი უკანასკნელმა ამ ფოლადის ჯავშანით და-



ფარა გერიონის გემის გვერდები. პირველი ჯ. ვ. 'მნიანი გემი (ბრონენოსეცი) აშენდა 886 წელში ქრისტეს დაბადების შემდეგ. ის ააშენეს ვენეციის მცხოვრებლებმა ქალაქის დასაცავათ, კანდიანო პირ-ვილის მიწობის დროს. გემი მიყავდათ ნიჩბებით და იალქნით. გემის ზედაპირზე აშენებული იყო დიდი ცახე-კოშკი, რომელიც შემოჭრილი იყო რკინის ფოთლებით. ჯვაროსნების ომის დროს 1218 წელს, დამიეტის ალყას დროს, ჯვაროსნებმა მოიხმარიეს ასეთი ჯავშნოსანი, რომელსაც ეწოდებოდა „ქელ ნდია“.

გემების შრენების საქმეში იმ დროს აღმოსავლეთი არა თუ ჩამოუვარდებოდა დასავლეთს, არამედ უფრო მალა იდგა უკანასკნელზე.

რიჩარდ ლომგულის ისტორიაში აღწერილია გიგანტური „დრომონი“, რომელზედაც გემზე მოსამსამსახურეების გარდა ეტერადა ათას ხუთასზე მეტი ჯარისკაცი. ამ გემს მიქონდა სურსათი და მიყავდა ჯარი სენ-ჟან-დარკის ალყის შემოსარტყმელათ. რიჩარდ ლომგულის ფლოტი თავს დაესხა ამ გემს და ძლიერი ბრძოლის შემდეგ ჩასძირა.

ამ ხანაში სამხედრო გემებს ხშირათ ქონდათ ნაბღის და ზამბიანი მატარებლის ჯავშანი.

საშუალო საუკუნოების ნორმანები თავის ხომალდ ბზე რკინის ფარდულს აკეთებდენ მეომართა დასაცავათ. მლტის რაინდებმა 1530 წელში ააშენეს სამ აფრიანი გემი. გემზე მსახურობდა 700 კაცი. გემზე იდგა 50 ზარაზნი, 6 თვის სამყოფი წყალი და სურსათი და ამას გარდა მს შეეძლო მიეღო 3000 ტონი ბარგი. ეს გემი შემოჭრილი იყო რკინით და ტყვიით.

ანტვერპენის ხელში ჩასაგდებათ ესპანელების და ფლამანდლების ომის დროს, ფლამანდი ლებმა ააშენეს ჯავშნოსანი გემი, რომელზედაც ძლიერი არტილერია დასდგეს. გემს დაარქვეს „Finis belli“ — „ომის დასასრული“. ამ ზე უფრო აღრე პოლანდილებმა ააშენეს ორიგინ ლური გემი, რომელიც ორი ნაწილისგან შესდგებოდა. ეს ნაწილები შეერთებული იყო ხიდით, რომ ლზადაც იდგა ჯავშნოსანი კოშკი არტილერიით. თითქმის ამავე დროს იპონელებმაც ააშენეს რკინის ჯავშანთ შემოჭრილი გემი, რომელიც ბორბლებით მოძრაობდა.

პირველ ჯავშნან გემათ, რომელიც ორთქლით მოძრაობდა, ითვლ ბა ფულტონის მიერ აშენებული გემი, რომელსაც ეწოდებოდა „დემოლოგოსი“.

„დემოლოგოსი“ 1829 წელში აფეთქდა და ჩაიძრა. საზღვო სამხედრო ტექნიკის უკანასკნელ სტაფეათ უნდა ჩაითვალოს დრედნოუტება — უზრმაზარი მცურავი ციხეები, რომელგებიც დიდ სამ-

ხედრო ძალის წარმადგენენ და უკანასკნელ ომში იხმარებოდენ.

რ. ბ—ძე.

### სამხედრო საქმე.

მუდმივი ჯარი ყოველ ახალი დროის სახელმწიფოს ჰყოლია, მაგრამ ფრიდრიხ დიდის, ნაპოლეონ პირელის და რუსეთის ჯარებს შორის დიდი განსხვვება იყო.

თანამედროვე პირობებში შექმნილი ჯარი სხვა უნდა იქმნეს, რ დგან ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედი დებულებები შეიცვალნენ. ახალი ჯარის მოწყობის საქმე ახალ პირობებს უნდა შეუფარდოთ. ჯარის მოწყობის დროს ჩვენ მულამ თვალწინ უნდა გვედგას სინამდვილე და მისი მოთხოვნებიანი. რაც მათ ეწინააღმდეგება მას არ უნდა გამოვეცილოთ.

რუსეთში ძველი რეჟიმის დროს ჯარი სხვა იყო და ერი სხვა. „სამხედრო ბეგარას“ ხალხი ისე უყურებდა, როგორც ნაძალადევათ დაკისრებულ ტვირთს. სამხედრო სამსახური მისთვის მოვალეობა კი არ იყო, არ მედ ბატონყმური ბეგარა. მას არ ესმოდა მისი აუცილებლობა, მისი მნიშვნელობა. ოფიცრობასა და ჯარის კაცებს იგი ისე უყურებდა, როგორც ხელმწიფეს მსახურებს. ერსა და ჯარს შორის მის თვალში არაფერი არ იყო საერთო. მართლაც ეს ასე იყო, ხელმწიფის ნება უმაღლესი კანონი იყო ჯარისათვის. მისი აღსრულებისათვის არა ერთხელ გაუწირავს უბრალოთ ჯარს თავი. შემოაღნიშნული შეხედულება ძირიანათ უნდა ამოიფხვრას ხალხში. რა გზით? ჯარის მოვალეობა სახელმწიფოს დაცვა და მისი საზღვრების უზრუნველყოფაა. მას არ უნდა ევალებოდეს საპრობილეების დაცვა ან მმართველობის საქმეებში ჩარევა. ეს ადმინისტრაციის საქმეა.

ჯარის დარაზმულობა, მისი შინაგანი სიმკვიდრე მისა და ერს შორის ერთობამე უნდა ემყარებოდეს. ერი ისე უნდა შეზხაროდეს ჯარს, როგორც საკუთარ შეილს. ჯარის ნ წილები იმ ხალხის დარაზმულ ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ, რომელიც მათ გარეშე მო ბინადრობობს.

ასე შედგენილი ჯარი, არ გაილაშქრებს ხალხის წინააღმდეგ, თუ ერთი უმრავლესობა მოითხოვს ამა თუ იმ რეფორმებს, მაინც ჯარიც მიემ-

\*) აზრთა გაცვლა გამოცვლის საჭიროებისთვის აღილს ვითომბთ ამ კითხვის შესახებ აკადემიურ ხასიათისკამათს, თანახმად ჩვენი ურნალის პროგრამისა (პრ. ჯ. № 1), სადაც ნათქვამია რომ თვით ჩვენი ორგანო ეცდება აკადემიურ სჯა-კამათით გააშუქოს ჯარის ორგანიგაციულის და სისტემის დიდმნიშვნელოვანი საკითხი.  
ჩედ.





ციისა უკვე დაუბრუნდნენ გაცივებულ კერას და მშვილობიან ცხოვრებას შეუდგნენ. ამ გვირგვინს ახალციხის საფრთხე თავიდან მოვიშორეთ. მაგრამ ახალციხის საკითხი მაინც არ არის საბოლოოთ მოგვარებული. განსაკუთრებით საჭიროებს შეადგენს ამ რაიონს ახალციხეში მტკიცე და ხალხის ნდობით აღჭურვილი ადმინისტრაციული აპარატის შექმნა და დახმარება თანამომხე მუსულმან ქართველებსადმი. ამ მიზნით კიდევაც გადადგმულ იქნა რაიონდენივე პრაქტიკული ნაბიჯები: დაიწყებულა კრებამ ამოიჩინა განსაკუთრებით კონცხია, რომელსაც დაეგულა ახალციხის მაზრაში აფორიაქებულ ცხოვრების ნორმალურ კლასურში ჩაყრება. კომისია უკვე წარუდგა დაიჭირებულ კრებას მოხსენებით, რომელიც დაიჭირებულა კრებამ მოიწონა. მოხსენებაში დაწვრილებით არის ადწვრილი ახალციხეში მომხდარი ამბები და მისი გამომწიფი მიზნები, აგრეთვე ჩინოფილია საჭიროებანი, რომლის დაკმაყოფილება აუცილებილ საჭიროებას შეადგენს ჩვენ თანამომხე მუსულმან ქართველებისთვის. „ზოგი ქირი მარგიბელიაო“ — ახალციხის უკანასკნელმა ამბებმა აშკარად დაანახვა ახალციხელ ქართველებს, თუ ვინ ყფრო იცავს მათ ინტერესებს, — შემამულე ბეგები, თუ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა, რომელიც მზად არის გაიზიაროს ჯავახეთ-მესხელ ქართველების ქირი თუ ლხინი. წარსული ისტორიას უნდა ჩაზარდეს. მომავალში ყოველივე უნდა ვილონოთ, რომ სამულდამოთ ისე შევისისხლ-ხორკოთ ჩვენი მოძმე მუსულმან ქართველები, რომ ვერაერთარმა ძალამ ვერ შესძლოს ჩვენი გათიშვა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ახალციხელ ქართველებში გათვითცნობიერებისა და კულტურის შეტანით; მთელი ჩვენი გულისყური აქეთუნდა იქნას მიპრობილი. სკოლები, საუბარი, ისტორიული შინაარსის ლექციები, რომელიც უნდა შეგებოდეს ჩვენ და მუსულიან ქართველების ისტორიულ კავშირს, დამოკიდებულებას, რაც მეტი იქნება შეგნება სამუსულმანო საქართველოში, იმდენათ ნაკლები გასავალი ექნება პროვოკაციას.

\* \*

ჩვენ არა ერთხელ აღვინიშნავს ჩვენს მიმობილვაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის მჭიდრო კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცების საჭიროების შესახებ. ასეთივე იყო გულრწფელი სურვილი ჩვენი მთავრობისა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენმა მეზობლებმა თოფ იარაღის აჩხარუნებით გაგვეცეს პასუხი. უკანასკნელად კი ყველა დარწმუნდა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის

ძმურ და მეგობრულ დამოკიდებულებას — დასახლება ბის საჭიროებაში. ამ ახლო რომაულში გაიხსნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაცია, რომელმაც უნდა გადაქრას ყველა საღლო საკითხები, გამოარკვიოს ეკონომიური და ფინანსიური ურთობობანი და სხვა. ჩვენ იმედის თაღლით შევყურებთ ამ კონფედერაციას. დარწმუნებული ვართ ბოლოს მაინც გამოინახება საერთო, შემთანხმობელი რნა, შემუშუავებულ იქნება საერთო ხაზი, პოლიტიკა, ჩადლოფითისა და სამხრეთის რეპროდუქტიური ძალიერსაგან მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაშორებლათ.

\* \*

უმჯავლითო ომმა მთელი ვირობის ეკონომიური ცხოვრება მოშალა, ცხოვრების პირობები აუტანელი შეიქნა, ფულმა დაკარგა ღირებულება. ცხდია. ამ საშინელ ეკონომიურ კრახტოდან ვირო ჩვენი სახილმწიფო აშორდებოდა; ჩვენი შიაც ძნელი შეიქნა არსებობა, სპეკულაცია უმალევე წერტილამდე განვითარდა. მასთან ბრძოლა შეუძლებელი შეიქნა. სასურსათო კრიზისმა იმატა, უკანასკნელ დღეებში პურზე ფასმა ერთი ორათ მოიმატა, რამაც ერთგვარი უკმაყოფილება დაბადა სხვა და სხვა წრეებში; ჩვენი „ერთგულნი“ საუკითესო საავიტაციო მასალათ იყენებენ პურის გაძვირებას ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ; ყველაფერი მთავრობის ბრალია, — ასეთია მათი უღმობელი ლოლიკა. ამ მითქმა-მოთქმის დროს მთავრობამ უკვე შესძლო მოკავშირეთაგან პურის მიღება; გაჩნდა პური, ყვილგან საერთო კმაყოფილება, ბაზარზე პურის ფასი ისევ დაეცემა და მალე გახსნილ სპეკულიანტებსაც საზღვარი დაედება. როგორი პირობებითაც არ უნდა შეკროდა ჩვენი მთავრობა მოკავშირეებს, უკანასკნელმა პრაქტიკულმა ნაბიჯმა ჩვენი მთავრობის პრესტიჟი უთრო აამაღლა, რადგანაც დღეს ხალხი პურით ზომავს მთავრობის საქმიანობას.

გრ. საქართველო.

### ოქუი დაჭრილ-დასახირკებულთა კრება.

16 მარტს თფილისის ომში დაჭრილ დასახირებულთა კავშირის სამართველოში შესდგა დასახირებულთა საერთო კრება. კრებას დაესწრო ას ოც კაცზე მეტი, იყვნენ აგრეთვე თბილისის სხვა და სხვა სავაადმყოფებიდან დელეგატები. კრებას სხვა და სხვა დაბრკოლების გამო აკლდნენ ქუთაისის, ოზურგეთის და სამტრედიის კავშირების წარმომადგენლები. დღის წესრიგში დასწული იყო შიამდეგი საკითხები: 1) საქართველოს რესპუბლიკაში ომში დაჭრილ დასახირებულთა ცენტრალური კავშირის დაარსება; 2) კავშირის წესდების როგორთი მუხლები შეცვლა, 3) ახალი გამგეობის მოქმედება; 4) სარგვიზო კომისიის წევრთა არჩევნები; 5) საამხანაგო სასამართლოს წევრთა არჩევნები; 6) კულტურული სექციის დაარსება; 7) შემ-



კრება გამგეობის წევრთა რიცხვისა; 8) მთავრობასთან გასაგზავნი დელეგაციის არჩევა და 9) მიმდინარე საკითხები. ყველა აქ მოყვანილ საკითხების გარჩევა ვერ მოესწრო და ნაწილი განუჩრეველი საკითხებისა გადაიღო განსახილველად 28 მარტისათვის. მოგვყავს ორივე კრების ანგარიში. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა მუსელიანმა. თავის მოხსენებაში აღნიშნა საქართველოს ყველა ქვეშევრდომ ინვალიდების შემაკავშირებელი ორგანოს დაარსების საჭიროება, ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია ჩვენს შეკავშირებაზე, — სთქვა მომხსენებელმა და მოუწოდა ყველას ამ საკითხისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ. გაიმართა კამათი, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოამუშავებული ახალი წესდება, რის დამთავრების შემდეგ მის დასამტკიცებლად მოწვეულ იქნება საქართველოს რესპუბლიკის ყველა რაიონობიდან თითო წარმომადგენელი დაჭრილ-დასახიჩრებულებიდან ქ. თფილისში, რომლებიც აირჩევენ ცენტრალური კავშირის გამგეობას. წესდების და ტექნიკური მხარეების გამოამუშავება მიენდო სამი კაცისაგან არჩეულ კომისიას. კომისიაში კრებამ აირჩია: აქვსენტი აბესაძე, ვ. მუსელიანი და ვარ. კაპანაძე. მეორე საკითხის შესახებ კრებამ ხმის უმეტესობით შეიტანა ძველ წესდებაში შემდეგი შესწორებანი: 1) სახელწოდება „თფილისის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირი“ შეიცვალოს „საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირით“. 2) კავშირის წევრებათ შეუძლიათ იყვნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქვეშევრდომ ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომრებს, რომლებსაც ომში თუ სამხედრო სამსახურში მოვალეობის დროს მიუღიათ ჭრილობა ან დაზავება, აგრეთვე დაავადებულთ, თუ დაავადება შედგება ომში ყოფნისა. აგრეთვე სხვა წერილობანი შესწორებანიც იქნა შეტანილი წესდებაში.

გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ბ. აქვ. აბესაძემ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, გამგეობას თენახეარში დიდი თვითმოქმედება გამოუჩენია. მაგ., კავშირის კოორპორატივი, რომელიც წინა დღეების გზაზე აღდა, მხოლოდ პირველი თებერვლიდან საგრძნობლეთ გაიზარდა საქონლის შექცნით და სხვა გაუმჯობესებით. გამგეობას 15 უფასო სალილი უმოვია დაჭრილ-დასახიჩრებულებისათვის, გაუმართავს საღამო, რომელსაც წმინდა მოგება 5,000 მან. დაუტოვებია კავშირს უფასოთ დაურიგებია დაჭრილებისათვის 100 წყვილი საცვლები და სხ.

კრებამ სრული კმაყოფილება და ნდობა გამოსთქვა გამგეობის მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: ვ. კაპანაძე, გარუჩავა და გუჯიგვი, კანდიდატებათ: მენალარიშვილი და დლოიძე. საამხანაგო სასამართ-

ლოში არჩეულ იქნენ: ცქვიტინიძე ხალამარე ლ. ჯაფარიძე, ცქვიტინიძე ვალერიან, როსტომაშვილი, აბაიშვილი, კანდიდატებათ: ვაჩნაძე და მესხი. კრებამ საჭიროთ დაინახა დაარსება კავშირში აგრეთვე კულტურული სექციისა. სექციამ უნდა მოაწუოს დაჭრილ დასახიჩრებულთათვის თვეში ორჯერ-სამჯერ ლექციები. კავშირში უნდა იქნეს მოწყობილი სექციის მიერ კურსები, სადაც დაჭრილ-დასახიჩრებულები შეისწავლიან წერა-კითხვას, აგრეთვე მსურველნი მოემზადებიან ოთხი კლასის მოწმობაზე. სექციას დაევალოს საზოგადოებისთვის პრესის საშუალებით დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობის გაცნობა. კულტურულ სექციაში ერთხმათ არჩეულ იქნენ: აქვ. აბესაძე ვ. მუსელიანი და ვარ. კაპანაძე. გამგეობის წევრთა რიცხვი მკაციდან სამზე იქნა დაყვანილი. გამგეობაში დარჩნენ: თავმჯდომარეთ აქვ. აბესაძე, მდივანთ ვ. მუსელიანი და მოლარეთ თენგიშვილი. არჩეულ იქნა მთავრობასთან გასაგზავნი დელეგაცია, რომელსაც დაევალოს კრების სახელით სთხოვოს მას პენსიის საკითხის გადაწყვეტა, დასახიჩრებულებზე სამსახურში უზირატესობის მიცემა, რკ. გზაზე უფასოდ მიმოსღვის ნება დასახიჩრებულებზე, ხელობის შესასწავლათ სახელოსნოების გაღება და სხვა. დელეგაციაში არჩეულ იქნენ: აქვ. აბესაძე, გარუჩავა, ცქვიტინიძე, მენალარიშვილი და მუსელიანი. დასსრულ დამფუძნებელ კრებას, ჯარს და გვარდიას გაეგზავნა კრების სახელით მილოცვები.

**კრების თავმ. ვარ ამ კაპანაძე.**  
**მდივანი ლეო აბაიშვილი.**

## ქ რ ო ნ ი კ ა.

✿ რკინის გზა ბათომ-ნატანებს შუა საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გადმოვიდა.

✿ კავკასიის ერები შეთანხმდნენ კონფერენცია მოიწვიონ, კონფერენციის დღეთ დანიშნულია აპრილის 25.

✿ ჩრდილო კავკასიაში მთიელთა მთავრობის ჯარებსა და მოხალისეთა შორის სასტიკი ბრძოლაა. უკანასკნელი ცნობით გენ. დენიკინის ჯარს დიდს ზარალით გროზნისკენ დაახევიწეს.

✿ ომის პასუხის მგებლობის კომისიის განცხადებით დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემულნი. გერმანიის არმიის წინააღმდეგ შედგენილია საბრალმდებლო ოქმი.

✿ ოსმალები აზრუმისა, ყარსის, ართვინის და სხვა მუხომელ რაიონებში დიდ აგიტაციას აწარმოებენ ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ, აგრედგე იარაღს ურიგებენ მცხოვრებლებს.

✿ მოკავშირეთა ჯარების სარდლობასთან დედებული ხალშეკრულების ძალით ჩვენი მთავრობა მიიღებს საკმაო პურს, რითაც სასურსათო კრიზისი მოსპობილი იქნება.